

შეტყობინება მეოთხე

მადლი პავლეს წერილებში

ადგილები წერილიდან: 1 პეტ. 1:2ბ, 10, 13; 2:19-20; 3:7; 4:10; 5:5, 10, 12; 2 პეტ. 1:2; 3:18

- I. მადლი არის აღმდგარი ქრისტე როგორც მაცოცხლებელი სული, რომელიც საჩუქრად გვაძლევს თავის თავს ჩვენ, არის ყველაფერი ჩვენთვის და აკეთებს ყველაფერს ჩვენში, ჩვენ ნაცვლად და ჩვენით ჩვენი ტკბობისათვის – იოანე 1:14, 16-17; 2 კორ. 1:8-9, 12; გალ. 2:20; შდ1რ. 1 კორ. 15:10.
- II. მადლის გამრავლება არის მადლი, რომელიც მრავლდება ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში ღმერთისა და ისესოს, ჩვენი უფლის სრულ შეცნობაში: ღმერთის მადლი მის სახლმშენებლობაში არის მდიდარი, გამრავლებადი და უხვი – 1 პეტ. 1:2ბ; 2 პეტ. 1:2; იოანე 1:16; ეფეს. 1:6-8; 2:7; რომ. 5:17, 21; 1 ტიმ. 1:14; გამოცხ. 22:21:
- ა. მადლი მრავლდება ჩვენთვის ჩვენი ტანჯვების, შეზღუდვისა და სისუსტეების მეშვეობით; მადლი არის ქრისტე როგორც ჩვენი საზრუნავების მატარებელი; რაც უფრო მეტი საზრუნავი გვაქვს, უფრო მეტი შესაძლებლობა გვაქვს განვიცადოთ ქრისტე როგორც მადლი – 2 კორ. 12:7-9; შდრ. 1:12, 15.
 - ბ. უფლით ტკბობა როგორც მადლით არის მათთან, ვისაც უყვარს უფალი – ეფეს. 6:24; იოანე 21:15-17; 1 პეტ. 1:8.
 - გ. უფლით როგორც მადლით მის ღვთაებრივ ბუნებასთან ერთად ტკბობა გამოდის იქიდან, რომ ჩვენ ვღებულობთ მისი მადლის სიტყვას და ვრჩებით ამ სიტყვაში, რომელიც მოიცავს თავის თავში მის ყველა ძვირფას და უდიდეს დაპირებას – საქმე. 20:32; 2 პეტ. 1:4; ეფეს. 6:17-18.
- III. წინასწარმეტყველები ძველ აღთქმაში წინასწარმეტყველებდნენ მადლზე, რომელიც უნდა მოსულიყო ჩვენთან – 1 პეტ. 1:10:
- ა. ქრისტეს სული ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებში ნათლად აჩვენებდა მათ, რომ ქრისტე მოვა ჩვენთან როგორც მადლი თავისი განკაცების, თავისი ტანჯვების თავის ადამიანურ ცხოვრებაში და ჯვარცმისა და თავისი დიდების თავის აღდგომაში, ამადლების, მეორედ მოსვლისა და მეფობის მეშვეობით იმისათვის, რომ გამოიყენოს ჩვენ მიმართ ღმერთის სრული გადარჩენა – მუხ. 5. 9-10; შდრ. ფსალ. 22; ესაია 53; დან. 9:26.
 - ბ. თუმცა მოწყობის თვალსაზრისით ქრისტეს სული იყო შედგენილი ქრისტეს სიკვდილისა და აღდგომის მეშვეობით და მისი მისი სიკვდილისაგან და აღდგომისაგან ახალი აღთქმის დროს (იოანე 7:39; რომ. 8:9-11), სულის ფუნქცია არის მარადიული, რადგან ეს არის მარადიული სული (ებრ. 9:14).
 - გ. ქრისტეს სული თავის მარადიულ ფუნქციაში იმყოფებოდა ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებში, ნათლად აჩვენებდა მათ, რომ ქრისტე მოვა ახალი აღთქმის მორწმუნებთან, რათა იყოს მათთვის სრულადსაკმარისი და უსაზღვრო მადლი ღმერთის მიერი სრული გადარჩენისა მათი შესვლისათვის უფლის სიხარულში ეკლესიის საუკუნეში – მადლით, რომელიც არის გადარჩენა მათი მშენებებისა – იოანე 1:17; ებრ. 10:29ბ; 1 პეტ. 1:9; მათე 25:21, 23.
 - დ. ქრისტეს სული იყენებს ჩვენ მიმართ ღმერთის სრულ გადარჩენას როგორც მადლს ორი საშუალების დახმარებით: ძველი აღთქმის წინასწარმეტყველების წინასწარმეტყველებითა და ახალი აღთქმის მოციქულების ქადაგებით – 1 პეტ. 1:10-12; შდრ. გამოცხ. 2:7ა.

IV. მადლი, რომელზეც სრულყოფილებაში არიან დაიმედებულნი მორწმუნეები, იქნება მოტანილი მათ მიერ იესო ქრისტეს გამოცხადებისას – 1 პეტ. 1:13:

- ა. მადლში, რომელიც მოდის ჩვენთან იესო ქრისტეს გამოცხადებისას, იგულისხმება მშვინვების გადარჩენა როგორც ღმერთის სრული გადარჩენის დასრულება – მუხ. 5, 9-10:
 - 1. მადლი, მოცემული ჩვენთვის ქრისტეში, მოგვენიჭა ჩვენ ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ქვეყნიერება შეიქმნებოდა – 2 ტიმ. 1:9; ტიტ. 2:11.
 - 2. ღმერთი, რომელიც იყო დასაწყისში, გახდა ხორცი დროში როგორც მადლი, რათა ადამიანს მიეღო ის, დაუფლებოდა მას და დამკობარიყო მისით – იოანე 1:1, 14, 16-17.
 - 3. გამზადებული სამერთიანი ღმერთი, რომელმაც მოიპოვა დასრულება როგორც ყოვლისმომცველმა, მაცოცხლებელმა და ჩვენში მყოფმა სულმა, გახდა მადლის სული ჩვენს სულთან – 1 კორ. 15:45ბ; 2 კორ. 3:17; ებრ. 10:29ბ; გალ. 6:18; ფილიპ. 4:23.
- ბ. დღითი დღე ჩვენ უნდა ვიყოთ გახსნილი ჭურჭლები, რათა ვიყოთ მუდმივად მადლის მიმღებები, და ჩვენ მთლიანად და სრულყოფილებაში უნდა ვიყოთ დაიმედებული ამ მადლზე – რომ. 5:17; 1 პეტ. 1:13.

V. სიტყვებში „მადლი ღმერთან“ 1 პეტ. 2:19-20 იგულისხმება ღვთაებრივი სიცოცხლის აღმძვრელი ძალა ჩვენში და მისი გამოხატულება ჩვენს ცხოვრებაში, რომელიც ხდება ჩვენს ქცევაში მადლის მომცემი და მოსაწონი როგორც ადამიანის ასევე ღმერთის თვალშიც:

- ა. მადლი როგორც გამზადებული სამერთიანი ღმერთი ჩვენი ტკბობისათვის ხდება ჩვენი შინაგანი აღმძვრელი ძალა და გარეგანი გამოხატულება ჩვენს ახლო ურთიერთობაში ღმერთთან და ჩვენ მიერ ღმერთის შეცნობაში; ჩვენ ყველამ უნდა ვისწავლოთ, რომ გვექონდეს მადლი, ანუ მივიღოთ მადლი, მოვიპოვოთ მადლი, ვისარგებლოთ მადლით და გამოვიყენოთ მადლი – ებრ. 12:28.
- ბ. გამზადებული სამერთიანი ღმერთი როგორც მადლი, რომელიც ჩვენ მივიღეთ და რომლითაც ჩვენ ვტკბებით, მოიპოვებს ხილულ გამოხატულებას, რომლის დანახვასაც შეძლებენ ადამიანები ჩვენს წმიდა ცხოვრებაში და ეკლესიის კრებებზე – საქმე. 11:23.
- გ. ჩვენ ვართ მოწოდებულნი იმისათვის, რომ დავტკბეთ ქრისტეთი როგორც მადლით და გამოვხატოთ ქრისტე როგორც მადლი ტანჯვებს შორის, რათა გავხდეთ კვლავწარმოქმნა, „ქსეროკოპია“, ქრისტესი როგორც ჩვენი ნიმუშის, თანახმად ღმერთკაცის ცხოვრებით ცხოვრების – 1 პეტ. 2:20-21.

VI. სიცოცხლის მადლი არის მემკვიდრეობა ყველა მორწმუნისა, როგორც ძლიერების, ასევე სუსტების – 3:7:

- ა. სიცოცხლის მადლი არის ღმერთი როგორც სიცოცხლე და სასიცოცხლო შეწევნა ჩვენთვის მის ღვთაებრივ სამებაში: მამა როგორც სიცოცხლის სათავე, ძე როგორც სიცოცხლის არხი და სული როგორც სიცოცხლის ნაკადი, მომდინარე ჩვენში ძესთან და მამასთან ერთად როგორც მადლი ჩვენთვის – 1 იოანე 5:11-12; იოანე 7:38-39; გამოცხ. 22:1.

- ბ. ჩვენ ვართ მემკვიდრეები, რომლებიც იმკვიდრებენ სიცოცხლის მადლს, და ჭურჭლები, რომლებშიც არის სიცოცხლის მადლი – 1 პეტ. 3:7; ეფეს. 1:14; 2 კორ. 4:7.
- VII. ღმერთის მრავალფეროვანი მადლი მიუთითებს ღმერთის მადლის სიმდიდრეზე მის მრავალფეროვნებაში, რომელსაც წმიდანები ურიგებენ მსახურებაში ერთმანეთს – 1 პეტ. 4:10:**
- ა. ღმერთის მრავალფეროვანი მადლი არის მდიდარი შეწევნა სიცოცხლისა, ანუ სამერთიანი ღმერთი, რომელიც რიგდება ჩვენში მრავალ ასპექტში – 2 კორ. 13:14; 12:9.
- ბ. ჩვენ უნდა ვიყოთ კარგი სახლმმართველები ღმერთის მრავალფეროვანი მადლისა, ვილაპარაკოთ მადლის სიტყვა როგორც ღმერთის სიტყვა და ვემსახუროთ მადლის ძალიდან და ძლიერებიდან, რომლითაც გვამარაგებს ღმერთი – 1 პეტ. 4:10-11; ლუკა 4:22; ეფეს. 3:2; 4:29.
- VIII. ღმერთი აძლევს მადლს მორჩილებს, მაგრამ ის ეწინააღმდეგება ამაყებს – 1 პეტ. 5:5:**
- ა. ეკლესიურ ცხოვრებაში ჩვენ ყველა უნდა შემოვისარტყლოთ მორჩილებით ერთმანეთის მიმართ, რათა დაგტკბეთ ღმერთით როგორც მისით, ვინც გვაძლევს მადლს – შდრ. იოანე 13:3-5.
- ბ. მორჩილება გადაგვარჩენს ჩვენ ყოველგვარი განადგურებისაგან და გვიხსნის გზას ღმერთის მადლისათვის, ხოლო სიამაყე გვხდის ჩვენ უმადლეს დონეზე უგუნურებად – იაკ. 4:6; ფსალ. 138:6; იგავ. 29:23.
- გ. ჩვენ მზადყოფნით უნდა გავხდეთ მორჩილები, დავემორჩილოთ ღმერთის ძლევამოსილ ხელს და მის აღმზრდელობით სამუშაოს და „მივცეთ“ ჩვენი ცხოვრება მის საზრუნავთან ერთად ღმერთს, რადგან ის ზრუნავს ჩვენზე სიყვარულითა და ერთგულებით – 1 პეტ. 5:5-7; შდრ. ფსალ. 55:22.
- IX. „ყოველგვარი მადლის ღმერთი“, რომელმაც მოუწოდა მორწმუნეებს თავის მარადიულ დიდებაში, სრულყოფს, აძლიერებს, ამაგრებს და ამტკიცებს მათ მათი ტანჯვების მეშვეობით; ეს „ყოველგვარი მადლი“ არის „ღმერთის ჭეშმარიტი მადლი“, რომელშიც მორწმუნეები უნდა შევიდნენ და რომელშიც ისინი უნდა იდგნენ – 1 პეტ. 5:10, 12.**
- X. ჭეშმარიტი მადლი არის მადლი, რომელშიც მორწმუნეები, ჩვენი უფლის და მხსნელის იესო ქრისტეს ცოდნაში ზრდასთან ერთად უნდა გაიზარდონ მისი დიდებისაკენ ახლაც და მარადისობის დღემდეც; ეს არის დასკვნითი სიტყვა მოციქული პავლეს ყველა წერილისა, რაც იმას გულისხმობს, რომ ყველაფერი, რაც დაწერილია მის მიერ დაწერილია ღმერთის მადლისაგან, ღმერთის მადლში, ღმერთის მადლით და ღმერთის მადლის მეშვეობით – 2 პეტ. 3:18.**